№ 243 (10 412)
27 დეკემბერი,
ხუთშაბათი,
1990 წ.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

„ლელოს" დღევანდელი ნომრის ფასი გაყიდვაში 15 კაპიკია

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

# შევარდენი

№ 1 ● 27 დეკემბერი, 1990 წ.
ერთდროული გაზეთი
იბეჭდება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" დაკვეთით.

● „შევარდენი" — დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სპორტსაზოგადოება!

● „შევარდენი" — აღორძინება-განახლების, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ეროვნული სპორტული საზოგადოება!

● „შევარდენი" — პირველი ქართული სპორტული ჟურნალი 1918-1921 წლებში და ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ალამდარი!

● „შევარდენი" საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჩაერთიანებულ მილიონნახევრიან ლაშქარს მიუძღვის ჯანმრთელობისა და სპორტის ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

● კეთილად გვევლოთ!

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერს „შევარდენს" ვუთმობთ. მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა თვალი გადაავლოს როგორც ამ სპორტსაზოგადოების გაწეულ საქმიანობას, ისე მის სამომავლო გეგმებს.

# მასობრივი შემობრუნების წელი

### გვესაუბრება „შევარდენის" თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე

● ბატონო ვაჟა! საქართველოს სპორტის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი, რომ სპორტსაზოგადოება, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, 1988 წლის მარტში დაფუძნდა პროფკავშირების სისტემაში ადრე არსებული სპორტსაზოგადოებების გაერთიანების შედეგად. მას შემდეგ მრავალი სასიკეთო ცვლილება მოხდა საზოგადოების ცხოვრებაში. რას გვეტყვით ამის თაობაზე?.



— უპირველეს ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს სახელით ახალი წელი მივულოცო ჩვენს თანამემამულეებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, სპორტის გულშემატკივრებს, ვუსურვო ბედნიერება და ჯანმრთელობა იმ იდეების განსახორციელებლად, რომლებსაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნულმა მოძრაობამ.

რაც შეეხება ჩვენს სპორტულ საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს, ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მომენტზე:

1. 1988 წლის მარტს დაფუძნდა პროფკავშირების ერთიანი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება, რომელშიც გაერთიანდნენ ადრე არსებული სპორტული საზოგადოებები: „კოლმეურნე", „განთიადი", „სპარტაკი", „ბურევესტნიკი", „ზენიტი", „ლოკომოტივი", „ვოდნიკი". „შევარდენი" დღეს ყველაზე მასობრივი სპორტული საზოგადოებაა საქართველოში, იგი თავის რიგებში აერთიანებს მილიონზე მეტ წევრს.

2. 1989 წლის სექტემბერს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმზე პროფკავშირების სპორტსაზოგადოებას ეწოდა „შევარდენი", რითაც აღორძინდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სპორტული საზოგადოების სახელწოდება.

3. 1990 წლის ივნისს „შევარდენის" რიგგარეშე ყრილობაზე საზოგადოება გამოეყო საკავშირო სტრუქტურებს, განთავისუფლდა ცენტრის დიქტატისაგან და მყარად დაფუძნდა ეროვნულ ნიადაგზე. მიღებულ იქნა დამოუკიდებელი, ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წესდება. ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა საქართველოსა და საკავშირო სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ცხოვრებაში (არ ვგულისხმობთ ფედერაციებს).

ბუნებრივია, ყოველივე ამას მოჰყვა რადიკალური სტრუქტურული ცვლილებები საზოგადოების ყველა რგოლში. დღეისათვის „შევარდენი" წარმოადგენს საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაციის ერთ-ერთ დამფუძნებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

● **რას გვეტყვით „შევარდენის" ძირითად ამოცანებზე?**

— ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ერის გაჯანსაღებისათვის ზრუნვა, ამ მიზნით შრომით კოლექტივებში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის კოორდინაცია, მისი მართვა და, რა თქმა უნდა, ეროვნული სპორტის შემდგომი განვითარება. თუ როგორ ვართმევთ თავს ამ ამოცანას, ვფიქრობთ, ამაზე, უფრო ვრცლად, პასუხს გასცემს გაზეთის სპეციალური ნომერი.

● **დღეს რესპუბლიკის ეკონომიკას, მის ბიუჯეტს უჭირს. ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა ყველას დიდი გამოცდის წინაშე აყენებს, აქედან გამომდინარე, როგორ გესახებათ მომავალში „შევარდენის" ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გზები?**

— ჩვენ კარგად გვესმის ჩვენივე დამოუკიდებლობის არსი. რაც უნდა საშვილიშვილო საქმეს აკეთებდეს კაცი, არ შეშვენის სულ ხელგაწვდილი იყოს. სწორედ ამიტომ სერიოზულად მოვეკიდეთ საკუთარი შემოსავლის წყაროების ძიებას. უკ-

იხ. გვ. 2

# დიდი სპორტი

### მხოლოდ ციფრები და ფაქტები

არც ისე ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, „შევარდენმა" მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სპორტულ სარბიელზეც.

● **ჭაბუკთა მეოთხე საკავშირო თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული 81 მედლიდან ამ საზოგადოების წილად 33 მედალი მოდის (შედარებისთვის: ანალოგიურ მესამე თამაშებში პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების სპორტსმენებმა მხოლოდ 6 მედალი მოიპოვეს).**

● სეულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საქართველოს თექვსმეტ სპორტსმენთაგან ცხრა „შევარდენის" წევრი იყო: ძიუდოისტები — ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე და კობა კურტანიძე, ტანმოვარჯიშე — ვლადიმერ გოგოლაძე, მოფარიკავე — ვლადიმერ აფციაური, მძლეოსანი — მაია აზარაშვილი, წყალში მხტომელი — გიორგი ჩოგოვაძე, სინქრონისტი — ხრისტინა ფალასანიდი და ჩოგბურთელი — ლელა მესხი.

● **„შევარდენის" სპორტსმენებიდან ოლიმპიადის მედლები დაიმსახურეს: ვლადიმერ გოგოლაძემ (ოქრო), ვლადიმერ აფციაურმა (ოქრო), მაია აზარაშვილმა (ბრინჯაო), ამირან ტოტიკაშვილმა (ბრინჯაო), გიორგი თენაძემ (ბრინჯაო).**

● მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობდა „შევარდენის" 76 აღსაზრდელი. მათგან, ოცდაშვიდ სპორტსმენს სხვადასხვა ღირსების მედალი გადაეცა (ოქროსი — 8, ვერცხლისა — 9, ბრინჯაოსი — 10).

● **„შევარდენის" გუნდები ფართოდ არიან წარმოდგენილი საკავშირო სარბიელზე და ბევრ სახეობაში წარმატებით გამოდიან როგორც უმაღლეს, ისე პირველ ლიგაში.**

● საზოგადოების სიამაყეა ქუთაისის მორაგბეთა გუნდი „აია" — საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. უმაღლესი ლიგის მუდმივი ბინადარია თბილისის „ელმავლის" მორაგბეთა კოლექტივიც.

● **სახელოვანი ტრადიციების მქონე თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდი ნელ-ნელა იბრუნებს პოზიციებს და ანგარიშგასაწევ ძალად ხდება ქვეყნის საკალათბურთო ცხოვრებაში.**

● უმაღლეს და პირველ ლიგაში გამოდიან, აგრეთვე, თბილისის „ქარიშხალას" ხელბურთელ ვაჟთა გუნდი — საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, წყალბურთელ გოგონათა კოლექტივი „ივერია" — ქვეყნის პირველი ჩემპიონი და 1990 წლის პირველობის მეორე პრიზიორი, თბილისის „ივერიის" კალათბურთელთა კოლექტივი.

● **სპორტული თამაშები „შევარდენის" საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი და ღონიერი უბანია. მის ძლიერებას განსაზღვრავენ საქართველოში პოპულარული გუნდები: თბილისის „მიმინო" და ქუთაისის „გელათი" (რაგბი), თბილისის „მშენებელი" და „ვაკე" (ფრენბურთი), თბილისის „ქარიშხალა" (ხელბურთი, ქალები), ქუთაისის „ლოკომოტივი" და „უქიმერიონი" (ბალახის ჰოკეი), თბილისის უნივერსიტეტი — „აისი" (წყალბურთი).**

● უმაღლესი და პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატებში საქართველო მთლიანად 17 გუნდითაა წარმოდგენილი, მათგან 14 „შევარდენისაა".

# ცოტა რამ ისტორიიდან

**საქართველოში ტანვარჯიშის პირველი პოპულარიზატორები ჩეხი ენთუზიასტები იყვნენ. მათ შორის ფუძემდებლური საქმიანობით გამოირჩეოდნენ ანტონ ლუკეში და იულეს გრუმლიკი.**

**1907 წელს** პრაღაში ჩატარდა „სოკოლის" ტანმოვარჯიშეთა V მსოფლიო შეკრება („მოფრენი"). საქართველოს გუნდმა II ადგილი დაიკავა, გიორგი ეგნატაშვილი კი 1860 მონაწილეს შორის მეთვრამეტე იყო.

1912 წელს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი „სოკოლის" მეექვსე შეკრებას მასპინძლობდა. ერთ-ერთ თანრიგში საქართველოს გუნდმა (გაიოზ ბერელაშვილი, ივანე კოშოიანი, იან გოშტოფტი, ფრანტა ნოვაკი, კოტე ურიმაგოვი და გუნდისთავი გიორგი ეგნატაშვილი) პირველი ადგილი დაიკავა.

ზემოაღნიშნულ ტანმოვარჯიშეთა გარდა, პირად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: სიმონ ნანიშვილი და მიშა მოხოვი (გამარჯვებულად ითვლებოდა ყველა, ვინც იარაღებზე ვარჯიშში საშუალოდ 9,5 ქულა შეფასებას მიიღებდა). ამ პრინციპით პირველი პრიზები მიენიჭათ გაიოზ ბერელაშვილს, გიორგი ეგნატაშვილს, ივანე კოშოიანს და მაშინ ჯერ კიდევ პეტერბურგის გუნდის წევრს გიორგი ნიკოლაძეს.

1916 წელს ანტონ ლუკეშისა და გიორგი ეგნატაშვილის თაოსნობით თბილისში მოეწყო პირველი შეჯიბრება ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო შეკრების პროგრამით. ასპარეზობაში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ: ი. მაჭავარიანი, ფ. სტარი, ფ. ზემანი, ვ. პროკოფიევი, გ. მერკვილაძე, მსაჯებად მოწვეულნი იყვნენ: გ. ეგნატაშვილი, გ. ბერელაშვილი, ი. ვახეკი, ი. გრუმლიკი და ა. ლუკეში.

1918 წელი. პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა გიორგი ნიკოლაძემ გაიოზ ბერელაშვილსა და დათა ჯავრიშვილს საინტერესო წინადადებით მიმართა: „ამირანისა" და თბილისში არსებული „სოკოლის" გაერთიანების საფუძველზე შეექმნათ ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი ტანვარჯიშული საზოგადოება. ამ იდეას მხარი დაუჭირა შეკრებილთა უმრავლესობამ და **1918 წლის 25 აგვისტოს შეიქმნა საზოგადოება, რომელსაც „შევარდენი" დაერქვა (იგი ლიკვიდირებულ იქნა 1922 წლის 8 ნოემბერს რევოლუციური მთავრობის სპეციალური განკარგულებით).**



ქართული ეროვნული სპორტის თავკაცები — „შევარდენის" წევრები (მარცხნიდან) ირაკლი ლორთქიფანიძე, თამარ ნიკოლაძე, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი, გაიოზ ბერელაშვილი და არჩილ ბაქრაძე.

**შეიქმნა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი". თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწველმშენებანკის საოპერაციო სამმართველოში ს/ზ № 521921. „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი".**

## 00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს" რედაქციაში.

## „შევარდენი" — 5.000 მანეთი

**სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკურმა საბჭომ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში" გადარიცხა 5 ათასი მანეთი.**

# მასობრივი შემობრუნების წელი

(დასასრული)

ვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები:

მნიშვნელოვანი სახსრები გამოგვითავისუფლა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სტრუქტურის დახვეწამ, რის შედეგადაც აპარატის მუშაკთა რაოდენობა 70 პროცენტით შემცირდა.

რესპუბლიკური საბჭოს ზოგიერთი ქვედანაყოფი და სპორტული ბაზა გადავიყვანეთ თვითდაფინანსებასა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე; ჩამოვაყალიბეთ სპეციალური კომერციული სამსახური, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ;

მომავალი წლიდან პირველ პროდუქციას მიაწვდის მომხმარებელს „შევარდენის" სპორტული ტანსაცმლის ფაბრიკა, რომლის წლიური წარმადობა 6 მილიონი მანეთი იქნება. ამ მიმართებით სერიოზული სამომავლო პროგრამა გვაქვს დასახული.

ერთი სიტყვით, შორს არ არის ის დრო, როდესაც „შევარდენი" შეძლებს გადავიდეს სრულ თვითდაფინანსებაზე. ჯერჯერობით კი თანადგომა გვჭირდება, როგორც სახელმწიფო, ისე პროფკავშირული ორგანოების მხრიდან.

**● დღეს საქართველოს რესპუბლიკაში ყველა დარგში მიმდინარეობს ბრძოლა ცენტრთან საკუთრების თაობაზე. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი სპორტული ბაზა, ნაგებობა, კომპლექსი თუ საწარმო, რომლებიც საკავშირო ორგანოების საკუთრებას წარმოადგენს. როგორია ამ მხრივ „შევარდენის" პოზიცია?**

— მინდა განვაცხადო, რომ ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენი" ამ მხრივაც ამართლებს თავის სახელს. დღეს რაც კი რესპუბლიკაში არსებობს ჩვენი ხაზით, ყველაფერი საქართველოს საკუთრებაა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, 60 მილიონი მანეთის საბალანსო ღირებულების სპორტული ობიექტები, კომპლექსები და შენობა-ნაგებობებია. ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნო, რომ აქ დიდად შეგვიწყო ხელი საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის გაბედულმა და მყარმა პოზიციამ.

**● ბატონო ვაჟა! მართალია, თქვენ ინტერვიუ საახალწლო მილოცვით დაიწყეთ, მაგრამ ეს მაინც საერთო, ზოგადი ხასიათის მილოცვა იყო. რას უსურვებდით საქართველოს მოსახლეობას წმინდა პროფესიული თვალსაზრისით?**

— გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, გაიკაჟეთ ორგანიზმი ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის დახმარებით, ეს სიმხნევის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. გახსოვდეთ, რომ ვინც სისტემატურად ვარჯიშობს, პრაქტიკულად არ ავადმყოფობს. მოდით, გადავაქციოთ მომავალი წელი ფიზიკური კულტურისა და სპორტისაკენ მასობრივი შემობრუნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების წლად. უარი ვთქვათ ჯანმრთელობის შემლახავ მავნე ჩვევებზე, რადიკალურად შევცვალოთ დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი, ვინაიდან ჩვენი ჯანმრთელობა, პირველ რიგში, საქართველოს მომავალს, მის ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას სჭირდება. გახსოვდეთ, რომ „ჯანმრთელობა ყველაფერი არ არის, მაგრამ ჯანმრთელობის გარეშე ყველაფერი არარაობაა". ყველას გისურვებთ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ, ეროვნულ საქმიანობაში.


პრესა გამოეხმაურა...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 ივნისი, კვირა, 1990 წ. № 117 (10 980) ● ფასი 3 კაპ.

„შევარდენი"

პროფკავშირების საქართველოს პირველი დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია გახდა

ქართული ფეხბურთი

მილოცვა...

Советский спорт

27

ШАГ ИЗ ШЕРЕНГИ

В Тбилиси состоялся внеочередной съезд Грузинского республиканского совета профсоюзного спортивного общества «Шевардени». Возможно, о не

# „ლელა მესხი — საქართველო!"

## ანუ, ყველა გზა მოსკოვზე როდი გადის

**საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ლელა მესხი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც უთვალგვარი კავშირი გაწყვიტა „სოვინტერსპორტთან" და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის სხვა გზა გამონახა.**

ცნობილი ამბავია: საზღვარგარეთული ტურნირებიდან დაბრუნებულმა საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვებისათვის მიღებული თანხის დიდი ნაწილი საკავშირო უწყებაფედერაციებს უნდა დაუთმონ. მათგან ყველაზე მადიანი ალბათ „სოვინტერსპორტია", ყველაზე „მსუყე ლუკმად" კი ჩოგბურთელები ითვლებიან, ვინაიდან, მათი თითქმის ყველა ტურნირი კომერციულია და საპრიზო ფონდიც მეტად სოლიდური. სპორტსმენებს, მათ შორის ჩოგბურთელებსაც, სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა ეთმინათ საკავშირო უწყება-ფედერაციების მტაცებლობა და მათთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ, რადგან, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. მხოლოდ მოსკოველ სპორტის „მესვეურთ" შეეძლოთ მათთვის გადაეჭრათ გამგზავრებასთან თუ უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

დრო შეიცვალა და ერთ-ერთმა პირველებმა სწორედ ჩოგბურთელებმა უგანეს ზემოხსენებულ ბიუროკრატიულ ორგანიზაციებს და საკუთარი ინიციატივით მიაგნეს კაბალური ორგანიზაციისგან თავდახსნის საშუალებას.



**● ლელა, თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით მოგვიყევით ამის შესახებ.**

— მოსაყოლი მგონი არაფერია. ერთ მშვენიერ დღეს ვუთხარი საკუთარ თავს — ლელა, გეყო, რაც გძარცვეს და დავემშვიდობე „სოვინტერსპორტს". სხვა გზები მოვიძიე — სპონსორები გამოვნახე: საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი" და ამერიკული ფირმა „ედვანტეჩი" („უპირატესობა"). „შევარდენი" მომიგვარებს საქართველოდან საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას — ტრანსპორტირების, ვიზების საკითხს და გადამიხდის 500 მანეთ ხელფასს. სანაცვლოდ, იგი მიიღებს თითოეული ტურნირიდან ჩემი შემოსავლის 10 პროცენტს. „ედვანტეჩი" კი ყველაფრით უზრუნველმყოფს საზღვარგარეთ — ტურნირის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ — სასტუმროთი, კვებით, სატრანსპორტო მომსახურებით, დასვენებისა და გართობის საშუალებებით სამშობლოში დაბრუნებამდე. ამ ყველაფრის საფასურად „ედვანტეჩს" შემოსავლის 20 პროცენტს ვაძლევ, რაც მთავარია, საერთაშორისო შეჯიბრებებზე საქართველოს სახელით გამოვალ.

**● რატომ აირჩიეთ, მაინც და მაინც, „შევარდენი" და „ედვანტეჩი"?**

— „შევარდენი", ალბათ, იმიტომ, რომ დღესდღეობით საქართველოში არსებულ სპორტსაზოგადოებებიდან ყველაზე მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე. „ედვანტეჩის" მიერ შემოთავაზებული პირობები კი ყველაზე მეტად ხელსაყრელია ჩემთვის და, საერთოდ, ჩემი ფულადი გასავალი 20 პროცენტით შემცირდა, ადრე „სოვინტერსპორტს" ჩემი „ქონების" 50 პროცენტი მიჰქონდა. „ედვანტეჩი" და „შევარდენი" კი ერთად 30 პროცენტს მიიღებენ. ვიმედოვნებ, რომ „შევარდენი" „სოვინტერსპორტისთვის" წართმეული თანხის ნაწილს ეროვნული სპორტის განვითარებას მოახმარს.

**● როდიდან არის ხელშეკრულება ძალაში და პირველად რომელ ტურნირზე გამოაცხადებენ: „ლელა მესხი — საქართველო"?**

— ხელშეკრულება მომავალი — 1991 წლიდან შედის ძალაში და საქართველოს სახელით პირველად „ვირჯინია სლიმზის" ახალი ზელანდიის საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზებ, რომელიც 25 იანვრიდან იწყება. აქ გამოაცხადებენ არა „ლეილა მესხი — საქართველო", არამედ — „ლელა მესხი — საქართველო". ძალიან გთხოვთ, დამიჯერეთ ჟურნალისტებო, მე ლეილა არა ვარ, მე ლელა მქვია.

ესაუბრა ლევან ჯაჯახიშვილი.

# გიხაროდენ...

**სპორტი**, ისევე როგორც ერის გაჯანსაღება და მასთან დაკავშირებული პრობლემები, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე წარმოუდგენელია. „შევარდენთან" შექმნილია მშენებელ-არქიტექტორთა საკმაოდ ღონიერი ორგანიზაცია, რომელიც აპროექტებს, კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას.

**„შევარდენის" გამგებლობაშია:**

318 პასპორტიზებული პროფკავშირულ-სპორტული ბაზა 60 მილიონი მანეთის საერთო საბალანსო ღირებულებით.

**58 სტადიონი**

**158 სპორტდარბაზი**

**35 საცურაო აუზი**

**9 სპორტული კომპლექსი**

**58 სხვა სპორტული ნაგებობა**

„შევარდენი" მასშტაბურად ახორციელებს სპორტული მშენებლობის ფართო პროგრამას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში. უკვე საფუძველი ჩაეყარა მშენებლობებს:

**ახალქალაქში — სპორტკომპლექსს დარბაზით**

**აბაშაში — სპორტულ დარბაზს**

**ლენტეხში — საჭიდაო დარბაზს**

**ყვარელში — სპორტულ კომპლექსს**

**სენაკში — საჭიდაო დარბაზს**

**მარტვილში — სპორტულ დარბაზს**

წლეულს აშენდა:

**თელავში — სასროლეთი**

**საჩხერეში — სპორტული კომპლექსი.**





**● თელავის სპორტული კომპლექსი, რომლის მშენებლობა 1988 წელს დაიწყო, ექსპლოატაციაში მალე შევა. სპორტული კომპლექსი მოიცავს ორ სპორტულ დარბაზს, სპორტსმენთა საერთო საცხოვრებელს 45 ადგილზე, აგრეთვე კეთილმოწყობილ კაბინეტებსა და სხვა საჭირო სათავსოებს. მოსახლეობის საერთო ფიზიკური მომზადება კომპლექსის მთავარი დანიშნულებაა, მაგრამ აქ ფართოდ გაიშლება სპორტული საქმიანობაც. კერძოდ, კომპლექსში განსაზღვრულია ძალოსანთა და მოკრივეთა სპორტული სექციების გახსნა.**

**● 1988 წლიდან მიმდინარეობს ყვარელში სპორტკომპლექსის მშენებლობა, რომლის ღირებულება 2 მილიონ მანეთს შეადგენს. აქ იქნება სტადიონი 400-მეტრიანი სარბენი ბილიკით, ტრიბუნები 8 ათას მაყურებელზე, გასახდელები, დამხმარე ოთახები და სხვ. კომპლექსს ექნება, აგრეთვე, ფეხბურთის დამხმარე მოედანი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები. ნავარაუდევია, ახევე, ტრიბუნის ერთი ნაწილი სპორტსმენთათვის განკუთვნილ სასტუმროს დაეთმოს. ფოტოზე თქვენ ხედავთ სტადიონის მშენებარე ტრიბუნებს.**

# რაც საქმეს წაადგება

ინტერვიუ ჭიდაობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის დირექტორთან ბერდია გუგავასთან.

**● თქვენ სულ ახლახან ჩაუდექით სათავეში სკოლას, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს. როგორი განწყობილებით შეუდექით მუშაობას?**

— მემკვიდრეობა მართლაც რომ შესაშური მივიღე, რამაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამაკისრა. დამეთანხმებით, რომ მოპოვებულის შენარჩუნება და ღირსეულად გაგრძელება უფრო ძნელია, ვიდრე საქმის თავიდან დაწყება. ჩემს ტვირთს ისიც ამძიმებს, რომ ბატონ დილარ ხაბულიანის დაწყებული და გაკვალული გზის გამგრძელებლად ვითვლები. ასე რომ, უკან დასახევი გზა არა მაქვს. ჩემი, როგორც სპორტის მესვეურის, მოქალაქის, ვაჟკაცის მოვალეობაა არც საქმეს ვუღალატო და არც ამ საქმეში ჩემს წინამორბედს.

**● „შევარდენი" და ეროვნული მოძრაობა განუყოფელი მცნებებია, რას იტყვით ამ მიმართულებით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ?**

— მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ მომეცა საშუალება ამ ეროვნულ სპორტულ საზოგადოებას დავკავშირებოდი და მეც ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. ბევრით ვერაფრით დავიტრაბახებ, რაიმე განსაკუთრებული ჯერ არაფერი გამიკეთებია, მხოლოდ რიგითი ჯარისკაცი ვარ, რომელიც მომავალი საქმეებისათვის ემზადება. რაც შეეხება ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დღიდან დაარსებისა, მჭიდროდ ვთანამშრომლობ ბლოკთან „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო". სწორედ ამ ბლოკმა წამომაყენა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად განმეორებით არჩევნებში ჩემი მშობლიური ლენტეხის რაიონის საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ბატონ დილარ ხაბულიანის სანაცვლოდ.

**● დეპუტატად არჩევის შემთხვევაში დატოვებდით თქვენს ძირითად სამსახურს თუ...**

— ძნელი სათქმელია, თანაც ამაზე ფიქრი ნაადრევია. ასეთ შემთხვევაში პირადი ინტერესები უნდა გამოირიცხოს. ვიქნები იქ, სადაც მეტი სარგებლობის მოტანას შევძლებ, რადგან მიმაჩნია, რომ დღეს ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე მხოლოდ ის კონკრეტული საქმე უნდა აკეთოს, რაც ხელეწიფება და რაც საერთო მიზნებს სასიკეთოდ წაადგება.

# წლევანდელი ლაურეატები

**ყოველწლიურად, როგორც წესი, სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ თავის საუკეთესო სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და გუნდებს ავლენს. რეფერენდუმში მხედველობაში მიიღება წლის საუკეთესო შედეგები. 1990 წელს „შევარდენის“ უძლიერეს სპორტსმენთა ათეულში მოხვდნენ (ანბანის მიხედვით):**

**ნონა გაფრინდაშვილი** (ჭადრაკი), მსოფლიოს მრავალგზის და საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონი. საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის პრიზიორი, საზონათშორისო ტურნირში გამარჯვებული და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე პრიზიორი.

**ვასილი დავიდენკო** (ველოსპორტი). საქართველოს ჩემპიონი, 1990 წლის საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში გამარჯვებული, საერთაშორისო ველორბოლების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი ცალკეულ ეტაპებზე.

**თენგიზ თედორაძე** (კლასიკური ჭიდაობა). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში. სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი მოზრდილთა შორის.

**კობა კურტანიძე** (ძიუდო). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი. წლეულს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, კეთილი ნების თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი.

**ლელა მესხი** (ჩოგბურთი). „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ახალი ზელანდიის ღია პირველობაში გამარჯვებული, „კრაფტ ჯენერალ ფუდსის“ მოსკოვის ღია პირველობის ჩემპიონი. სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს ბევრი უძლიერესი ჩოგბურთელი დაამარცხა.

**ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა). ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ორი და ევროპის ჩემპიონატის ამდენივე ოქროს მედალი მოიგო. მსოფლიოს სუპერთასის მფლობელი.

**რამაზ ფალიანი** (კრივი). საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ახალგაზრდებში.

**ზაურ ცხადაძე** (მკლავჭიდი). საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

**ნუგზარ ძაგნიძე** (რაგბი). საქართველოს ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ქუთაისის „აიას“ კაპიტანი.

**გიორგი ხინჩიკაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა). საქართველოს და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

ზემოაღნიშნულის გარდა, დამტკიცდა საზოგადოების ხუთი საუკეთესო მწვრთნელისა და სამი საუკეთესო გუნდის (სიძლიერის მიხედვით) სიები.

**საუკეთესო მწვრთნელები:** 1. ნუგზარ სხიერელი (თავისუფალი ჭიდაობა, გორი), 2. ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიის სროლა, თბილისი), 3. დავით დავითაია (კლასიკური ჭიდაობა, თბილისი), 4. ალექსანდრე ჯაფარიძე (კრივი, მესტია), 5. გიორგი ლარიბაშვილი (ჩოგბურთი, თბილისი).

**საუკეთესო გუნდები:** 1. „აია“ (რაგბი, ქუთაისი), 2. „გურია“ (ფეხბურთი, ლანჩხუთი). 3. „ივერია“ (წყალბურთი, [illegible]).

ჩამოთვლილ სპორტსმენთა და მწვრთნელთა გარდა, დასახელებულთა შორის არიან სპორტსმენები — პ. გვასალია (კრივი), ნ. გიორგაშვილი (სამბო), მ. დოლიძე (ველოსპორტი), ზ. ზოზიროვი, ე. კურტანიძე (ორივე — თავისუფალი ჭიდაობა), თ. ლანჩავა (ჭადრაკი), ნ. ლუარსაბიშვილი (ჩოგბურთი), დ. პოლოსიანი (თავისუფალი ჭიდაობა), ს. პრიახინა (ველოსპორტი) და სხვა, აგრეთვე, მწვრთნელები — გ. არუთინოვი (კალათბურთი), თ. არჩაია (ბალახის ჰოკეი), დ. კავთელაშვილი (რაგბი), შ. კკაბიძე (თავისუფალი ჭიდაობა), ჯ. კოკოევი, ს. კულუა (ორივე — კრივი), ვ. მალცევი (ველოსპორტი), ვ. მელნიკი (წყლის თხილამურები), ი. ფუხაშვილი (ძიუდო), რ. ყორღანაშვილი (სამბო) და სხვ.


ნონა გაფრინდაშვილი


ვასილი დავიდენკო


თენგიზ თედორაძე


კობა კურტანიძე


ლელა მესხი


ნინო სალუქვაძე


რამაზ ფალიანი


ზაურ ცხადაძე


ნუგზარ ძაგნიძე


გიორგი ხინჩიკაშვილი

## ერთი შეკითხვა

### ნონა გაფრინდაშვილს

● **ქალბატონო ნონა, ყველა სპორტსმენის ოცნება ოლიმპიადაში მონაწილეობაა. ქართველი სპორტსმენები დღეს იმედის თვალით შეჰყურებენ სეოკ-ს. რას ჰპირდებით მათ, როგორც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი?**

— სეოკ-ის უპირველესი მიზანია, გახდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, მრავალი სიძნელე შეგვხვდება. სეოკ-ისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სპორტულმა ფედერაციებმა მიაღწიონ შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაერთიანებას, რაც სეოკ-ს მისცემს საშუალებას, უკვე რეალურად იფიქროს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაწევრიანებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს წარმომადგენლები დამოუკიდებლად გამოვლენ ოლიმპიადებზე.

### ვასილი დავიდენკოს

● **ადამიანი ბედნიერია, როცა მის ცხოვრებაში დადებითი ემოციები სჭარბობს. ამ მხრივ, წლევანდელ სეზონს, ალბათ, ვერ დაუმდურებით. მაგრამ იქნებ მაინც დაგრჩათ გულში ხინჯი?**

— ცხოვრებაში ყველაზე მეტად მაღიზიანებს უსამართლობა. ზაფხულში, ალმა-ათის მახლობლად ვემზადებოდით მსოფლიო ჩემპიონატისათვის, თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ, მოულოდნელად საბჭოთა ნაკრების მწვრთნელთა შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. ახალმა უფროსმა მწვრთნელმა ნიკოლოზ გორელოვმა ყველასათვის მოულოდნელად შემადგენლობიდან გამომიყვანა და ტოკიოში ვერ წავედი. გულდასაწყვეტია, რომ ახალი მწვრთნელი ძველს უსწორებდა ანგარიშს, დაზარალებით კი მხოლოდ სპორტსმენი დაიჩაგრა. სპორტში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

### თენგიზ თედორაძეს

● **რით იყო ეს წელი თქვენთვის დასამახსოვრებელი?**

— წლეულს მოვიგე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და ხელახლა დავიმკვიდრე ადგილი საკავშირო ნაკრებში. ალბათ, ესენია ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენები ჩემს წლევანდელ სპორტულ ცხოვრებაში.

### კობა კურტანიძეს

● **რა დაგრჩათ სპორტში მიუღწეველი?**

— ყველა ტიტულს, რაც კი ძიუდოისტს შეიძლებოდა მოეპოვებინა, ვფლობ, გარდა ოლიმპიური ჩემპიონობისა, რომლის უმაღლეს კვარცხლბეკზე ასვლა ყველასათვის სანუკვარი ოცნებაა. ცხადია, არც მე ვარ ამ მხრივ გამონაკლისი.

### ლელა მესხს

● **რას ჰპირდებით ჩოგბურთის გულშემატკივრებს მომავალი წლისთვის?**

— კონკრეტულად რაიმეს თქმა მიჭირს. მოგეხსენებათ, სპორტში ძნელია პროგნოზის გაკეთება, მით უმეტეს, როცა ეს საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრას ეხება. ამჟამად, საერთაშორისო რეიტინგით მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა შორის მე-17 ადგილი მიკავია. შევეცდები, მომავალ წელს საუკეთესოთა ათეულში დავიმკვიდრო ადგილი, რისთვისაც ჯერ არც ერთ ქართველ ჩოგბურთელ ქალს არ მიუღწევია.

### ნინო სალუქვაძეს

● **რატომ გადახვედით არმიის სპორტული კლუბიდან სპორტსაზოგადოება „შევარდენში“?**

— 9 აპრილის შემდეგ, მე, როგორც ქართველს, არ მქონდა მორალური უფლება, შეჯიბრებებზე გამოვსულიყავი იმ სპორტსაზოგადოების სახელით, რომლის წარმომადგენლებმაც, ასეთი ღრმა ჭრილობა მიაყენეს ჩვენს ერს. ამიტომაც გადავედი „შევარდენში“, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ეროვნული სპორტსაზოგადოებაა საქართველოში.

### რამაზ ფალიანს

● **კმაყოფილი ხართ თუ არა წლევანდელი სეზონის შედეგებით?**

— ლიმაში წარმატებით ჩავები მსოფლიო ჩემპიონატის ორთაბრძოლებში. ნახევარფინალში გერმანელ ვეი შულერტი გახლდათ ჩემი მეტოქე. საერთო აზრით, უპირატესობა ჩემს მხარეს იყო, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ჟიურის თავმჯდომარე, პულერტის თანამემამულე ვერი, რომელმაც გამარჯვება თავისიანს მიანიჭა, სამწუხაროდ, მასთან შეხვედრისა და რევანშის აღების საშუალება არ მექნება, რადგან, გაისად ჭაბუკ მოკრივეთა არც ევროპისა და არც მსოფლიო პირველობა არ ტარდება, მერე კი, მერე ორთავეს უფროსებში მოგვიწევს გამოსვლა და იქ ვნახოთ...

### ზაურ ცხადაძეს

● **ვიდრე მკლავჭიდში სცდიდით ბედს, თქვენ საკმაოდ პერსპექტიული მოჭიდავე იყავით და მშიშე წონაში საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრებში პირველ ნომრადაც გაჲუნებდნენ. მაინც რომელი სპორტის სახეობაა თქვენთვის უფრო მიმზიდველი და საყვარელი — მკლავჭიდი თუ კლასიკური ჭიდაობა?**

— მკლავჭიდი! მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურ ჭიდაობასაც აქვს თავისი ხიბლი, მე მაინც ჩვენში ამ ახალდანერგილმა სპორტის სახეობამ გამიტაცა და მომავალში ალბათ, უფრო მჭიდროდ დავუკავშირებ მას ჩემს ბედს.

### ნუგზარ ძაგნიძეს

● **თამაშისას და კარში დარტყმისას თქვენ „უნერვო“ კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ. რითაა ეს გამოწვეული?**

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში. ან კი რა საჭიროა ზედმეტი ნერვულობა, როცა იცი, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება.

### გიორგი ხინჩიკაშვილს

● **ვის უმადლით ყველაზე მეტად თქვენს წარმატებებს?**

— თითქმის ყველა, ვისთანაც ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე მომიწია ურთიერთობამ, პატივისცემით მეპყრობოდა, მაგრამ განუზომელია ის ამაგი, რომელიც ჩემმა პირადმა მწვრთნელმა ნუგზარ სხიერელმა დამდო.

# ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობისა...

თუ ვინმეზე ითქმის, ქართული სპორტის სიყვარულით გულანთებული კაციაო, ეს, პირველ ყოვლისა, ნოდარ ჯანგირაშვილზე ითქმოდა. მეტიც, ის ასეთი ადამიანების სამაგალითო წარმომადგენელი იყო. რწმენას არასოდეს ღალატობდა, ყველგან მივიდოდა, ყველას შეაწუხებდა, რომ თავის გადაწყვეტილების სისწორეში დაერწმუნებინა. ამას ახერხებდა კიდეც, ახერხებდა იმიტომაც, რომ მუდამ გულწრფელი და უმწიკვლო იყო, მთელ დროს კეთილი საქმეების კეთებისთვის ხარჯავდა. ნოდარის უკეთილშობილეს თვისებებზე და სიკეთეზე „ლელომ“ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გამოაქვეყნა წერილი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: სპორტული ბიბლიოთეკის შექმნა, საფეხბურთო ლატარიის შემოღება, მუხიანის სტადიონის სამხედრო ნაწილისაგან დახსნა და ხალხის სამსახურში ჩაყენება, ქართული სპორტის მუზეუმის ახალი ექსპონატებით გამდიდრება, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ქართული სპორტის პროპაგანდა... ნოდარ ჯანგირაშვილის თაოსნობითვე გადაწყდა და საფუძველი ჩაეყარა გადასასვლელი ხიდის მშენებლობას, რომელიც დიღუბეში მდებარე „შევარდენის“ მძლეოსნობის სასახლეს და ბავშვთა კალათბურთის ცენტრს ნაძალადევთან დააკავშირებს. მშენებლობა მიმდინარეობს. ალბათ, უპრიანია, ამ ახალ ხიდს სწორედ ნოდარ ჯანგირაშვილის სახელი ეწოდოს.

**თიანეთში** შეიქმნა ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის რესპუბლიკური მნიშვნელობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელსაც, რაიონის კულტურისა და დასვენების პარკი გადაეცა. ცენტრი რეგისტრაციაში გაატარა რაისაბჭოს აღმასკომმა, გაიხსნა საბანკო ანგარიში, რომლის ნომერია

**70060**

თიანეთის „აგრობანკი“.

# ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ

(მათე 5,7)

## სიკეთის სამსახურში

გვესაუბრება საქართველოს სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარის მოადგილე **ემზარ ზენაიშვილი.**

**● ბატონო ემზარ, როდის და როგორ გაჩნდა ფონდის ჩამოყალიბების იდეა?**

— იდეა ორიოდე წლის წინ დაიბადა. აღსანიშნავია, რომ მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილი გახლდათ. მისი უშუალო ხორცშესხმა კი შესაძლებელი შეიქნა სპორტსაზოგადოება „შევარდენისა" და საქართველოს პროფსაბჭოს მხარდაჭერით. ფონდის ამ კეთილშობილურმა მიზანმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა წარმოება-დაწესებულებებში, მთლიანად საზოგადოებრიობაში.

**● თუ არსებობს საბჭოთა კავშირში და უცხოეთში ამგვარი საქველმოქმედო ფონდები, რა კავშირები გაქვთ მათთან და თუ არა გაქვთ, ხომ არ აპირებთ მათ განხორციელებას?**

— საბჭოთა კავშირში ჩვენი ფონდი პირველი იყო. უკანასკნელ ხანს კი, ჩვენს გამოცდილებაზე და წესდებაზე დაყრდნობით, მოსკოვში, პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებასთან შეიქმნა ანალოგიური ხასიათის ფონდი. მაგრამ ჩვენგან განსხვავებით მათი პრაქტიკული საქმიანობა უცნობია. არ ვიცი, რა დახმარებას უწევენ ისინი გაჭირვებულ სპორტსმენებსა და სხვა კატეგორიის ადამიანებს. უცხოეთში კი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს მოწყალების ფონდები. იქ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ზოგიერთ ქვეყანაში მთელი საქველმოქმედო სისტემებიც არის ჩამოყალიბებული. მართალია, მათთან ჯერჯერობით არავითარი კავშირი არა გვაქვს, მაგრამ, ცხადია, მათი გამოცდილების გაზიარება მართლაც არ გვაწყენდა. უცხოეთის ქვეყნებთან ინტენსიური სპორტული კავშირების კვალობაზე შესაბამისად გაფართოვდება ფონდის კონტაქტებიც.

**● თქვენს წესდებაში ნათქვამია, რომ ფონდი იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ფონდის შექმნის ინიციატორთა გამოცემებს ფონდის საქმიანობის შესახებ ცნობების გასავრცელებლად. რა პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებთ ამ კუთხით?**

— ფონდის რეკლამირება და მოსახლეობისათვის მისი საქმიანობისა და მიზნების გაცნობა — ეს აუცილებელი პირობაა ჩვენი საქმიანობის ნორმალური წარმართვისათვის. მაგრამ დღემდე ამის საშუალება არ მოგვცემია და „ლელოს" იმედადღა დავრჩით, რომელმაც დროულად გამოგვიწოდა თანადგომის ხელი. ვფიქრობთ, ჩვენი კონტაქტი ურთიერთხელსაყრელია და „ლელოს" ხელშეწყობის იმედი მომავალშიც გვაქვს.

---

**სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ ნანა ალექსანდრიას**

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოსადმი. საქველმოქმედო ფონდის მიერ გადმორიცხული თანხით შევიძინეთ ტრენაჟორები, მოვაწყვეთ სავარჯიშო ოთახი, სადაც პატარა პაციენტებს უტარდებათ აღდგენითი ფიზკულტურული მეცადინეობები.

საავადმყოფოს მედპერსონალის და პატარა პაციენტების სახელით კიდევ ერთხელ გიხდით გულითად მადლობას.

**თენგიზ ბაქრაძე,**
**საავადმყოფოს მთავარი ექიმი.**

## ქალბატონო ნანა!

დმანისის რაიონის მშრომელთა სახელით გულითად მადლობას გიხდით სტიქიით დაზარალებულთა დაბინავება-დამკვიდრებაში მხარდაჭერისათვის. გამოვთქვამთ რწმენას, რომ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა დმანისის ძირძველ მიწაზე ყოველთვის იგრძნობს ქართველი ხალხის მხარდაჭერასა და თანადგომას.

მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოსაწყობად და ინვენტარის შესაძენად თქვენს მიერ გამოყოფილი ათი ათასი მანეთი მიზნობრივად იქნება გამოყენებული.

**ვ. ბერუაშვილი,**
**რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**



**სურათზე: სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდის მიერ მოწყობილი სარეაბილიტაციო ცენტრის მუშაობის ერთი დღე.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

## პირველად საქართველოში შეიქმნა

**1989 წლის 2 აპრილი.** სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკურ საბჭოსთან შეიქმნა „სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდი". ეს უპრეცედენტო ფაქტი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

**რამდენიმე აბზაცი ფონდის დებულებიდან:**

— მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანებს, ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ინვალიდებს;

—დაეხმაროს მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ სპორტულ კლუბებს, გუნდებს, სპორტულ სკოლებს, ცალკეულ სპორტსმენებს;

— მონაწილეობა მიიღოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, აღდგენით-სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნაში ბავშვთა საავადმყოფოებსა და სამედიცინო-სასწავლო დაწესებულებებში;

— ყოველმხრივ დაეხმაროს პერსპექტიულ ახალგაზრდობას სპორტული ოსტატობის ამაღლებაში, დააწესოს მიზნობრივი სტიპენდიები, შეიძინოს საჭირო სპორტული ინვენტარი და სხვა;

— ხელი შეუწყოს სოფლად, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოსა და მთიანეთში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას, სპორტული ფორმით უზრუნველყოფას;

— მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების პროგრამების განხორციელებას.

## ვულოცავთ ფონდის ლაურეატებს!

**ფონდის** მზრუნველთა საბჭოს გადაწყვეტილებით სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წევრები: თენგიზ თედორაძე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, რამაზ ფალიანი — კრივში საქართველოს, სსრკ და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის III პრიზიორი ახალგაზრდებს შორის და გიორგი ხინჩიკაშვილი — საქართველოს, სსრკ და ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, 1990 წელს მიღწეული მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდნენ 500-500 მანეთით.

ანალოგიურად, ფულადი ჯილდოთი აღინიშნა მწვრთნელების: ნუგზარ სხირელის (თავისუფალი ჭიდაობა), ალიოშა ჯაფარიძისა (კრივი) და გიორგი ღარიბაშვილის (ჩოგბურთი) ნაყოფიერი შრომა.

---

**სამინისტროებისა და უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ფირმებისა და ასოციაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელებსა და შრომით კოლექტივებს, ყველა მოქალაქეს, სპორტისა და სპორტსმენების ყველა ქომაგს ვთხოვთ, ფინანსური დახმარება გაუწიონ სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო რესპუბლიკურ ფონდს, რომლის ანგარიშია:**

# 000700367

**ბინსოცბანკის თბილისის სამმართველო.**

**თქვენს მიერ შემოწირული თანხა მოხმარდება ჰუმანური და კეთილშობილური მიზნების განხორციელებას!**

## საქველმოქმედო საქმეთა ნუსხა

— **რესპუბლიკის** უმაღლესი სასწავლებლების 8 სტუდენტი-სპორტსმენი, რომლებიც ტრავმების გამო იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ დიდი სპორტისათვის, ფონდიდან იღებენ სტიპენდიას.

— **ფონდმა** თავისი სახსრებიდან შეუძინა მიწის ნაკვეთი ნაგებობით და შეუქმნა საწვრთნელი პირობები ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპისა და კავშირის არაერთგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს ნინო სალუქვაძეს, როდესაც მან უარი განაცხადა არმიის სპორტული კლუბის სახელით შეჯიბრებებში გამოსვლაზე.

— **საქართველოს** ნაკრები გუნდის 6 წევრი, რომელთა შორისაა მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, იღებენ ფონდის ყოველთვიურ სტიპენდიებს.

— **45 ათასი** მანეთი გადაერიცხა რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოს, სურამის უპატრონო და მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს, პატარა ცემის სკოლა-ინტერნატს — სარეაბილიტაციო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების მოსაწყობად.

— **მატერიალური** დახმარება გაეწიათ: 9 აპრილს დაღუპულ, ფონდის დამფუძნების ერთ-ერთი ინიციატორის ნ. ჯანგირაშვილის და ჭადრაკში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელის გ. იზვოზჩიკოვის ოჯახებს, ყოფილ სპორტსმენებს, ამჟამად კი უბედური შემთხვევის გამო ლოგინს მიჯაჭვულ და ავადმყოფ გიგა როთველიაშვილს, ჯონდო მარიდაშვილს, თემურ შევარდნაძეს; „შევარდენის" სპორტის ვეტერანებს ა. ცხოვრებოვს, გ. თითირაშვილს, ზ. აბულეძიანს და სხვა.

— **მატერიალური** დახმარება აღმოუჩინა ათამდე სპორტულ გუნდსა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას.

— **ბოლნისის**, დმანისისა და ახალქალაქის რაიონების იმ სოფლებისათვის, სადაც ცხოვრობს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა, ფორმა-ინვენტარის შესაძენად და მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოსაწყობად გადარიცხა 80 ათასი მანეთი.

— **ფონდი** ყოველწლიურად სპორტსაზოგადოება „შევარდენის" სამ საუკეთესო სპორტსმენსა და სამ საუკეთესო მწვრთნელს აჯილდოებს ფულადი პრემიით.

— **20 მრავალშვილიან ოჯახს ბავშვებისათვის სპორტული ფორმისა და ინვენტარის შესაძენად გაეწიათ მატერიალური დახმარება.**

## მადლობა

**ფონდის** მზრუნველთა საბჭო ყველა შრომითი კოლექტივის, სპორტული გუნდის, სპორტსმენებისა თუ ინვალიდის სახელით, რომლებმაც რაიმე ფორმით მორალური თუ მატერიალური დახმარება მიიღეს ფონდისაგან, დიდ მადლობას მოახსენებს ყველა იმ 350-ზე მეტ წარმოება-დაწესებულებას, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებიც მხარში ამოუდგნენ ფონდს, გაუწიეს მას ფინანსური დახმარება.

ყველა მათგანის ჩამოთვლის საშუალება დღეს არ გვაქვს, მაგრამ რამდენიმე მათგანის გამოყოფა კი საჭიროდ მიგვაჩნია. კერძოდ:

— სახდაზღვევის რესპუბლიკური სამმართველო;

— „საქმეტალომომარაგებაგასაღების" სამმართველო;

— საქართველოს პროფსაბჭო;

— საქართველოს სპორტსახკომი;

— კრწანისის რაისაბჭოს აღმასკომი;

— საქსახინტურისტის სამმართველო;

— საზკვების კოოპერატივი „თელეთი";

— კასპის რაიონის მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკა;

ლაითურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი;

წითელწყაროს რაიონის მირზაანის კოლმეურნეობა.

**ფონდის ანგარიშზე ვალუტა შეიტანეს:**

— თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებამ;

— ჩოგბურთელმა ლელა მესხმა;

— კალათბურთელებმა ნოდარ ქორქიამ და პაატა გურასპაულმა;

— ისრაელის მოქალაქემ დიმიტრი ბატაშვილმა.

რესპუბლიკის ინფორმაციის საშუალებებით ცეკავშირის გამგეობამ ამცნო რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ფონდის ანგარიშზე ჩარიცხოს 50 ათასი მანეთი.

## თანადგომა

სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნარკვევს ჩემს ყოფილ აღსაზრდელზე ჯონდო მარიდაშვილზე, რომელიც ახლა ლოგინსაა მიჯაჭვული. აკრობატიკის ყველა გულშემატკივარს ახსოვს მისი სპორტული მიღწევები. ტრავმამ შეაჩერა ამ შესანიშნავი სპორტსმენის წინსვლა, ფონდმა დროული დახმარება აღმოუჩინა ჯონდოს, რომელმაც ადამიანური სითბოთი და თანადგომით უფრო გაიხარა, ვიდრე იმ თანხით, რომელიც ასე სჭირდებოდა მას წამლებისათვის.

მინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენო ფონდის მესვეურებს გაწეული გულისხმიერებისათვის.

**ა. თედეევი,**
**მწვრთნელი.**

## პრიზი მრავალშვილიან ფეხბურთელს

**სიჯანსაღისა** და სპორტის საქართველოს რესპუბლიკურმა საქველმოქმედო ფონდმა დააწესა პრიზი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში მონაწილე გუნდებში ყველაზე მრავალშვილიანი ფეხბურთელისათვის.

პრიზი — 1000 მანეთი გუშინ გადაეცა ოჩამჩირის „ამირანის" ფეხბურთელს, სამი შვილის მამას — ჯუმბერ ჭითანავას.

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ნ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „მერანი" — 98-97-20, „მიმოზა" — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66491

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ნ. კოსტავას ქ. 14, ...

ხელნაწერებს ავტორებს არ ვუბრუნებთ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20